პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა

(შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა)

კვლევა შემუშავებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ

სარჩევი

შესავალი 2

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის საკანონმდებლო მოწესრიგების საფუძვლები 3

2. საზედამხედველო ორგანოს დისკრეცია თანამშრომლობის ვალდებულების დარღვევის გამო ჯარიმის შეფარდებასთან დაკავშირებით 5

3. ვალდებულების დარღვევის შემამსუბუქებელი გარემოებები 6

4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზღვარგარეთის საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკა 7

ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 7

იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 8

კვიპროსის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 8

ლუქსემბურგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 9

პოლონეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებები 9

საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 10

საფრანგეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 11

უნგრეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება 11

დასკვნა 11

შესავალი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ვალდებულებას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსა და მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთა შორის თანამშრომლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მონაცემთა სუბიექტის უფლებების ეფექტიანი დაცვის ეტაპზე. მეორე მხრივ, აღნიშნული ხელს უწყობს კანონის შესაბამისად საზედამხედველო ორგანოს მანდატისა და საქმიანობის განხორციელებას.[1] აღსანიშნავია, რომ საზედამხედველო ორგანო აღჭურვილია იმგვარი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობით, რომლებიც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთათვის სავალდებულოდ შესასრულებელი იურიდიული ძალის მქონეა, ხოლო მათი შეუსრულებლობა, შესაბამისად, იწვევს სათანადო პასუხისმგებლობას.

კვლევის მიზანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის შესახებ საეთაშორისო პრაქტიკის ანალიზი. მათ შორის, იმგვარი შემთხვევების განხილვა, რომლებიც ინფორმაციის ან დოკუმენტაციის საპატიო მიზეზით წარუდგენლობას ანდა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას უკავშირდება. განხილულია, ასევე, საზღვარგარეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკა და რეაგირების მექანიზმები ისეთ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები არ თანამშრომლობენ საზედამხედველო ორგანოსთან.

ნაშრომი მომზადებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის[2] შინაარსის, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციისა"[3] და ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

---

[1] *Voigt P., Bussche A.,* The EU Data Protection Regulation (GDPR). A Practical Guide, 2017, 37.

[2] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.

[3] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), OJ L 119, 4/5/2016, 1-88 (შემდგომში - „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია").

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის საკანონმდებლო მოწესრიგების საფუძვლები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მითითებულ ვადაში შეასრულოს მისი მოთხოვნები და მათი შესრულების შესახებ აცნობოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.[4] წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს შესაბამის პასუხისმგებლობას. კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.[5]

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“, განსაზღვრავს, აგრეთვე, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების და მათი წარმომადგენლების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ვალდებულებას.[6] ამასთანავე, რეგულაციის 58-ე მუხლის მიხედვით, საზედამხედველო ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, მოსთხოვოს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირებს. არსებობის შემთხვევაში, მათ წარმომადგენელს, ნებისმიერი ინფორმაცია, რაც საჭიროა მისი ფუნქციების შესასრულებლად. ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების ან მისი ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას დარღვეული უფლების აღდგენისა და დარღვევის შედეგად შესაძლო ზიანის შემცირების მიზნით საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხი.[7] რეგულაციის პრეამბულის თანახმად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან აღრიცხონ, მათი პასუხისმგებლობის ფარგლებში დამუშავებასთან დაკავშირებული პროცესები.[8] შესაბამისად, როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი, ისევე უფლებამოსილი პირი ვალდებულია, ითანამშრომლოს პერსონალურ მონაცემთა

---

[4] 52-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.

[5] იქვე, 87-ე მუხლი.

[6] 31-ე მუხლი, მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია.

[7] იქვე, 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის “f” ქვეპუნქტი.

[8] იქვე, პრეამბულა, 82-ე პარაგრაფი.

დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან, აღრიცხონ, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდონ მონაცემები დამუშავების ოპერაციების მონიტორინგის მიზნებისათვის.

აღსანიშნავია ევროპის საბჭოს საკანონმდებლო ჩარჩო. „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს (108-ე) კონვენციით[9] გათვალისწინებული გარანტიების აღსრულების საკითხები ხელშემკვრელი მხარეების კანონმდებლობაზეა დამოკიდებული. საზედამხედველო ორგანოებთან დაკავშირებული გარანტიები 108-ე კონვენციაში მხოლოდ 2001 წელს გაჟღერდა კონვენციის დამატებითი ოქმის მიღების ეტაპზე. თუმცა, ეს უკანასკნელიც არ ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მიერ საზედამხედველო ორგანოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

რაც შეეხება 108-ე მოდერნიზებულ კონვენციას[10], ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 31-ე მუხლის მსგავს ჩანაწერს იგი არ შეიცავს. თუმცა, განმარტებითი ბარათის 120-ე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ საზედამხედველო ორგანოს მინიჭებული უნდა ჰქონდეს შემოწმების უფლებამოსილება, როგორიცაა მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით ინფორმაციაზე კითხვის დასმისა და მათი მოპოვების შესაძლებლობის კუთხით.[11]

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 31-ე მუხლი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის, აგრეთვე, მათი წარმომადგენლებისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან, მისი ამოცანების განხორციელების დროს, თანამშრომლობის სამართლებრივ ვალდებულებას განსაზღვრავს.[12] აღსანიშნავია, რომ ძირითადი რეგულაცია არ განმარტავს ტერმინ „თანამშრომლობას“, თუმცა იგი საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება თანამშრომლობის ვალდებულების შესრულებას, იგი უნდა განხორციელდეს საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნის შესაბამისად, რაც შეიძლება გულისხმობდეს ინფორმაციის მიწოდებას, ობიექტებსა და დოკუმენტაციაზე წვდომის დაშვების შესაძლებლობას და დამუშავების ოპერაციების განმარტებას.[13] ძირითადი

---

[9] ევროპის საბჭოს კონვენცია „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“, 28/01/1981.

[10] CoE, Convention 108 + Convention for the Protection of Individuals with Regard to the Processing of Personal Data, 18/05/2018.

[11] *Kuner Ch., Bygrave L., Docksey Ch.,* The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, 627.

[12] *Voigt P., Bussche A.,* The EU Data Protection Regulation (GDPR). A Practical Guide, 2017, 37.

[13] იქვე.

რეგულაციის 83-ე მუხლის მე-4 პუნქტის "a" ქვეპუნქტით კი, მსგავსად ეროვნული მოწესრიგებისა, ითვალისწინებს ჯარიმას თანამშრომლობის ვალდებულების დარღვევისთვის.[14]

2. საზედამხედველო ორგანოს დისკრეცია თანამშრომლობის ვალდებულების დარღვევის გამო ჯარიმის შეფარდებასთან დაკავშირებით

ადმინისტრაციული ჯარიმის შეფარდება ხდება თითოეული ინდივიდუალური შემთხვევიდან გამომდინარე, საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილებების ფარგლებში.[15] აღნიშნული გულისხმობს ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას საქმის ფაქტობრივ გარემოებათა მხედველობაში მიღებას. ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის" 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება ითვალისწინებს მითითებას ადმინისტრაციულ ჯარიმასა და რეგულაციის 58-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სხვა ზომებს შორის კავშირის შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ ჯარიმა უნდა განისაზღვროს ამ ღონისძიებებთან „დამატებით" ან მათ „ნაცვლად". ამგვარი ფორმულირებიდან გამომდინარეობს, რომ ჯარიმით შესაძლებელია, შეიცვალოს ან გაძლიერდეს რეგულაციით გათვალისწინებული მაკორექტირებელი ღონისძიებები. ძირითადი რეგულაციის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადება კი შესაბამის საზედამხედველო ორგანოს დისკრეციული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ანიჭებს, ასევე, აძლევს დისკრეციულ არჩევანს მის ოდენობასთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ ეროვნული საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების ფარგლებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო, უპირველეს ყოვლისა, აფასებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს, ბრალეულობას, აგრეთვე, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.[16] შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს საქმის კონკრეტული გარემოებები, განსაკუთრებით იმის შესაფასებლად, განხორციელდა თუ არა მცირე დარღვევა.[17] აღსანიშნავია ისიც, რომ ჯარიმის შეფარდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრიორიტეტს არ წარმოადგენს. პირველადი

[14] EDPB, Guidelines 04/2022 on the calculation of administrative fines under the GDPR, Version 2.1, 2023, §96.

[15] 87-ე მუხლი, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023; 58-ე და 83-ე მუხლები, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია".

[16] მუხლი 60, პირველი პუნქტი, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.

[17] GDPRHUB, Article 83 GDPR, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_83_GDPR>.

მიზანია ჯარიმის, როგორც სანქციის, სხვა ღონისძიებებთან ურთიერთკავშირის ბალანსის მიღწევა.[18]

3. ვალდებულების დარღვევის შემამსუბუქებელი გარემოებები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს.[19] შემამსუბუქებელ გარემოებებად მიიჩნევა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტის ფაქტი, აგრეთვე, სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ნებაყოფლობითი ანაზღაურება, ან/და სამართალდარღვევის აცილების მიზნით, სათანადო ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.[20] გარდა აღნიშნულისა, შემამსუბუქებელ გარემოებებს წარმოადგენს: არასრულწლოვნის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა, სამართალდარღვევის მონანიება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობა. სხვა გარემოება, რაც შესაძლოა, ინდივიდუალური საქმის განხილვის ფარგლებში შემამსუბუქებელ გარემოებად იქნეს მიჩნეული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიერ.[21] ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრებისა და ასეთი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში და ზოგადად, სამართალდარღვევის შედეგების შერბილების კონტექსტში, გასათვალისწინებელია მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხი.[22] საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს გამოეცხადება შენიშვნა,[23] თუმცა მტკიცების ტვირთი სწორედ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მხარეს აწვება.

ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ თანახმად, დარღვევის ბუნების, სიმძიმისა და ხანგრძლივობის ისევე, როგორც მისი ხასიათისა (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა) და პერსონალური მონაცემების კატეგორიების შეფასების

---

[18] პრეამბულის 148-ე პარაგრაფი, 83-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“.

[19] 61-ე და 62-ე მუხლები, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.

[20] იქვე, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[21] იქვე, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ – „დ“ ქვეპუნქტი.

[22] Christopher Kuner, Lee A. Bygrave, Christopher Docksey, The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Oxford University Press, 2020, 627.

[23] მუხლი 60, მე-2 პუნქტი, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 3144-XIმს-Xმპ, 14/06/2023.

შემდგომ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს რეგულაციის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი. როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხია.

„მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ (“EDPB”) რეკომენდაციების თანახმად, თუ საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობამ შედეგად მოიტანა პირთა უფლებებზე უარყოფითი გავლენის შეზღუდვა ან თავიდან აცილება, საზედამხედველო ორგანომ, აღნიშნული შემამსუბუქებელ ფაქტორად შეიძლება მიიჩნიოს.[24] შესაბამისად, შესაძლებელია ჯარიმის ოდენობის შემცირება თუკი, მაგალითად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირმა „კონკრეტული საქმის ფარგლებში, შემოწმების პროცესში, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნებს უპასუხა, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ინდივიდების უფლებებზე ზემოქმედება“.[25]

გასათვალისწინებელია, რომ 29-ე სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების თანახმად, მიზანშეწონილი არ არის დამატებით იმგვარი თანამშრომლობის მხედველობაში მიღება, რომელიც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისთვის თავისთავად კანონისმიერ ვალდებულებასა და მოთხოვნას წარმოადგენს. მაგალითად, სუბიექტს ნებისმიერ შემთხვევაში მოეთხოვება, ინსპექტირების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს საზედამხედველო ორგანოს წვდომა დაწესებულებაში შესაბამის მასალაზე.[26]

4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზღვარგარეთის საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკა

ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

ბელგიის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ერთ-ერთ საქმეზე მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის უწყებასთან თანამშრომლობის ვალდებულების შესრულების საკითხი შეაფასა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ორგანიზაცია საზედამხედველო ორგანოს მიერ დასმულ კითხვებზე ამომწურავი და დეტალური წერილობითი პასუხის გაცემას არ აპირებდა. მიუხედავად

[24] EDPB, Guidelines 04/2022 on the calculation of administrative fines under the GDPR, Version 2.1, 2023, §70.
[25] იქვე, § 97.
[26] ARTICLE 29 DATA PROTECTION WORKING PARTY, Guidelines on the application and setting of administrative fines for the purposes of the Regulation 2016/679, 2017, 14.

აღნიშნულისა, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ მზად იყო საზედამხედველო ორგანოსთან დამატებითი კონსულტაციების ფარგლებში თანამშრომლობისათვის. შესაბამისად, ვერ დაადგინა, რომ იგი არ ასრულებდა საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, უწყებამ საქმეზე ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 31-ე მუხლის დარღვევა არ გამოავლინა.[27]

იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, კომპანიამ, საზედამხედველო ორგანოს მიერ, 2019 წლის დეკემბერში, გაგზავნილი წერილი უპასუხოდ დატოვა. კორესპონდენციას მხოლოდ მაშინ უპასუხა, როდესაც ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით საზედამხედველო ორგანომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მესამედ მიმართა. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა კომპანიის მიერ ერთობლივად და პროაქტიულად არ განხორციელებულა. საზედამხედველო ორგანოს, ასევე, არ მიეწოდა ანალიტიკური და დეტალური პასუხები სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით, რაც საკითხის სათანადოდ შესწავლასა და შეფასებას შეუწყობდა ხელს. აღსანიშნავია, რომ არაერთი სამართალდარღვევის გამო კომპანიას 26. 513. 977 ევროს ოდენობის ჯარიმა შეეფარდა.[28]

კვიპროსის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

კვიპროსის საზედამხედველო ორგანომ მიიჩნია, რომ შემოწმების პროცედურის განმავლობაში მოთხოვნილი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა არ შეასრულა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 31-ე მუხლით გათვალისწინებული თანამშრომლობის ვალდებულება. საზედამხედველო ორგანომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო კომპლექსური. შესაბამისად, კომპანიას დროულად უნდა ეპასუხა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა საბოლოო ჯამში

---

[27] APD/GBA (Belgium), National Case Number/Name: 18/2020, 28.04.2020, <https://gdprhub.eu/index.php?title=APD/GBA_-_18/2020>.

[28] თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელი დარღვევების გათვალისწინებით განხორციელდა ჯარიმის კალკულაცია. Garante per la protezione dei dati personali (Italy), National Case Number/Name: 9735672, 16.12.2021, <https://gdprhub.eu/index.php?title=Garante_per_la_protezione_dei_dati_personali_(Italy)_-_9735672>.

გასცა საზედამხედველო ორგანოს წერილს პასუხი, მას უწყებამ მხოლოდ გაფრთხილება დააკისრა.[29]

ლუქსემბურგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ინსპექტირების პროცესში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი სრულფასოვნად არ თანამშრომლობდა ლუქსემბურგის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან. კერძოდ, მან საზედამხედველო ორგანოს მიაწოდა ცრუ ინფორმაცია მონაცემების გადაცემასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 31-ე მუხლის დარღვევის გამო, საზედამხედველო ორგანომ კომპანიას ჯარიმის გადახდა დააკისრა.[30]

პოლონეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებები

პოლონეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში იმსჯელა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 31-ე მუხლის შესაბამისად კომპანიის საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ვალდებულების ფარგლებზე. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, კომპანიამ საზედამხედველო ორგანოს არ მიაწოდა მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია, რაც მოცემულ შემთხვევაში, საქმის არსებითი გადაწყვეტისთვის იყო აუცილებელი. საზედამხედველო ორგანომ დაადგინა კომპანიის მხრიდან უმოქმედობით დაირღვა რეგულაციის 58-ე მუხლის პირველი პუნქტის “e” ქვეპუნქტი, რის საფუძველზე კომპანიას ჯარიმის სახით 3500 ევროს ოდენობით ჯარიმა დაეკისრა.[31]

პოლონეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ კიდევ ერთ საქმეზე დაადგინა, რომ მის კითხვებზე პასუხების გაუცემლობის გამო, ორგანიზაციამ დაარღვია საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ზოგადი ვალდებულება. უწყებამ აღნიშნა, რომ ორგანიზაციის რეაქცია ახდენდა სწორედ იმის დემონსტრირებას, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი საქმის ფაქტების

---

[29] Commissioner (Cyprus), National Case Number/Name: 1.17.001.007.270, 04.03.2021, <https://gdprhub.eu/index.php?title=Commissioner_(Cyprus)_-_1.17.001.007.270>.

[30] CNPD (Luxembourg), National Case Number/Name: 6FR/2023, 05.07.2023, <https://gdprhub.eu/index.php?title=CNPD_(Luxembourg)_-_6FR/2023>.

[31] UODO (Poland), National Case Number/Name: DKE.561.1.2020, 06.07.2020, <https://gdprhub.eu/index.php?title=UODO_-_DKE.561.1.2020>.

დადგენასა და მის სწორად გადაწყვეტაში საზედამხედველო ორგანოს მხარს არ უჭერდა შესაბამისად, მან დაარღვია საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ვალდებულება.[32] ამავდროულად, კომპანიის მოქმედება საქმის განხილვისათვის აუცილებელი ახსნა-განმარტებების მიუწოდებლობა წარმოადგენდა საზედამხედველო ორგანოსთვის ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულების დარღვევას. ასეთი ქმედება არა მხოლოდ აფერხებდა საქმის საფუძვლიან შესწავლას, არამედ იწვევდა საქმის წარმოების გადაჭარბებულ და გაუმართლებელ გაჭიანურებას.

აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამო, საზედამხედველო ორგანომ კომპანიას 4000 ევროს ოდენობით ჯარიმა დააკისრა.[33]

პოლონეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ, 2022 წლის 28 დეკემბერს, გამოაქვეყნა განცხადება მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მასთან, როგორც საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის შესახებ. კერძოდ, განცხადებაში აღნიშნულია, რომ საზედამხედველო ორგანოსთან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ თანამშრომლობაზე თავის შეკავება და მისი ამოცანების შესასრულებლად საჭირო ინფორმაციაზე გაუცემლობის ფაქტი, წარმოადგენს დარღვევას. გარდა ამისა, პოლონეთის საზედამხედველო ორგანომ ხაზი გაუსვა მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მასთან თანამშრომლობის მნიშვნელობას, რაც ეფექტიანი საქმისწარმოების საფუძველია.[34]

საბერძნეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, საზედამხედველო ორგანოსთან კონკრეტული საქმის შესწავლის ფარგლებში არ თანამშრომლობდა. მართალია, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა სხვა სამართალდარღვევებიც, თუმცა, აღსანიშნავია, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მარტოოდენ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 31-ე მუხლის დარღვევის გამო დაეკისრა ჯარიმა 3 000 ევროს

[32] UODO (Poland), National Case Number/Name: DKE.561.16.2021, 01.12.2021, <https://gdprhub.eu/index.php?title=UODO_(Poland)_-_DKE.561.16.2021>.

[33] EDPB, Polish DPA imposes a fine on Pactum Poland Sp. z o.o. for lack of cooperation, <https://edpb.europa.eu/news/national-news/2022/polish-dpa-imposes-fine-pactum-poland-sp-z-oo-lack-cooperation_en>.

[34] Poland: UODO releases statement on controllers' cooperation with the UODO as supervisory authority, <https://www.dataguidance.com/news/poland-uodo-releases-statement-controllers-cooperation>.

ოდენობით. სხვა დარღვევებთან დაკავშირებით კომპანიას გამოეცხადა საყვედური და დაეკისრა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის დაკმაყოფილება.[35]

საფრანგეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

ერთ-ერთი საქმის განხილვის ფარგლებში, საფრანგეთის საზედამხედველო ორგანომ შეაფასა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 31-ე მუხლის დარღვევის საკითხი. საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კომპანიამ საზედამხედველო ორგანოს ყველა კითხვას არ უპასუხა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად, არადამაკმაყოფილებელი ან არასრული იყო. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანომ დაადგინა რეგულაციის 31-ე მუხლის დარღვევის ფაქტი.[36]

უნგრეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

უნგრეთის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებით, ერთ-ერთ საქმეზე კომპანიამ დაარღვია ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ 31-ე მუხლი, ვინაიდან მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი საზედამხედველო ორგანოსთან საჭიროებისამებრ არ თანამშრომლობდა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში — გასცა ყალბი, არასწორი ან არასრული ინფორმაცია. საქმეზე ამ და სხვა სამართალდარღვევების გამო, კომპანიას 8 000 ევროს ოდენობით ჯარიმა დაეკისრა.[37]

დასკვნა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონი ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციით“ განსაზღვრული ვალდებულების მსგავსად, აწესრიგებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და

---

[35] HDPA (Greece), National Case Number/Name: 28/2022, 29.06.2022, <https://gdprhub.eu/index.php?title=HDPA_(Greece)_-_28/2022>.

[36] CNIL, Deliberation SAN-2021-014 of September 15, 2021, <https://www.legifrance.gouv.fr/cnil/id/CNILTEXT000044043045>.

[37] NAIH (Hungary), National Case Number/Name: NAIH-5114-35/2022, 21.12.2022, <https://gdprhub.eu/index.php?title=NAIH_(Hungary)_-_NAIH-5114-35/2022>.

დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების თანამშრომლობის ვალდებულებას, ხოლო საზედამხედველო ორგანოს კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში - შესაბამის სანქციას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ვალდებულება მიზნად ისახავს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დროულ, ეფექტიან და სრულყოფილ შესწავლას, რაც უმნიშვნელოვანესია მონაცემთა დაცვის სუბიექტის უფლების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე.

აღსანიშნავია, რომ საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ხარისხი ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე უნდა შეფასდეს, რაც სამართალდარღვევის შემთხვევაში, შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. გარდა ამისა, საგულისხმოა საზღვარგარეთის ქვეყნების პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკაც, რომელიც ადასტურებს, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის საზედამხედველო ორგანოსათვის სათანადო ინფორმაციის მიუწოდებლობის ფაქტი წარმოადგენს უწყებასთან თანამშრომლობის ვალდებულების დარღვევის კლასიკურ შემთხვევას.

© პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024

მის.: საქართველო, თბილისი, ნ. ვაჩნაძის N7, 0105
ბათუმი, ბაქოს N 48, 6010

ტელ.: (+995 32) 242 1000
E-mail: office@pdps.ge
www.pdps.ge